ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის-საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 9 იანვრიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

მოგეხსენებათ ვარ პოლიტიკური გაერთიანების ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პროპორციული წესით არჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ამავე საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს დებულებით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ,გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით. კომისია:

- სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს;
- წინასწარ განიხილავს საკრებულოში შემოტანილ, მის სფეროს მიკუთვნებულ, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს; ამზადებს დასკვნებს,ორგანიზებას უწევს და/ ან მონაწილეობს მათ განხილვაში;
- ისმენს საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;
- განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომელსაც ირჩევს (ათავისუფლებს) და/ ან რომელთა დანიშვნაზეც (განთავისუფლებაზეც) თანხმობას იძლევა საკრებულო და დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და ბიუჯეტის პროექტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;

- აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- აკონტროლებს გამგეობის შესაბამისი მიმართულების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს და შეფასებებს;
- იღებს გადაწყვეტილებას კომისიასთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ;
- ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს დავალებით და საკრებულოს კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გამგეობის და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულები არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და და სხვა მასალები და დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- საკრებულოს კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს და კომისიის სამუშაო გეგმებს ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს:

- განათლების, კულტურის და სპორტის , ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ -ეპიდემოლოგიური მომსახურების საკითხების შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების დაფინანსების შესახებ;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ;

კომისიის თავმჯდომარე

- საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის სამუშაო გეგმას, უზრუნველყოფს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას;
- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომას;
- არის კომისიის წარმომადგენელი, გამოდის კომისიის სახელით საკრებულოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის;
- აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს;
- კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს;

- აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს და კომისიის სხდომის ოქმებს; (ოქმში აისახება კომისიის დღის წესრიგში შემავალი საკითხები, ყველა წამოყენებული წინადადება, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება;)
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით,რეგლამენტით და კომისიის დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

როგორც კომისიის თავმჯდომარე მოხარული ვარ რომ ჩვენი საკრებულო განსხვავებულია თავისი ინიციატივებით. ის გადაწყვეტილებებს არ ღებულობს მხოლოდ კაბინეტებსა და სხდომათა დარბაზებში. ჩვენი ხელისუფლება ხალხზეა ორიენტირებული და ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა. საზოგადოებასთან აქტიური კონტაქტი და კომუნიკაცია საკრებულომ ტრადიციად დაამკვიდრა. დავნერგეთ კომისიების ანგარიშების მოსმენა საკრებულოს ბიუროს სხდომებზე ყოველი თვის 16 რიცხვში ნაცვლად წელიწადში ერთი ანგარიშისა. ამგვარი დამოკიდებულებით საკრებულოს ანგარიშვალდებულება და ქმედითუნარიანობა კიდევ უფრო გაიზარდა. კონკრეტული წინადადებები, დეტალური გეგმები, ინიციატივები, სხვადასხვა პროექტებზე მომზადებული დასკვნები და გაწეული საქმიანობის შეფასება იყო ის ძირითადი თემები, რომლებსაც კომისიის თავმჯდომარეებისაგან იღებდნენ ბიუროს წევრები, რიგითი დეპუტატები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში. საქმისადმი მსგავსი მიდგომა, დამოკიდებულება, აზრთა ურთიერთგაცვლა და აქტიურობა საკრებულოს წარმატებას განაპირობებს. ანგარიშვალდებულება ჩვენი მოსახლეობის წინაშე ჩვენი ერთ-ერთი მოვალეობაა. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია თუ რა გაკეთდა და რის გაკეთებას ვაპირებთ სამომავლოდ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ღია კარის სხდომის“ დანერგვა განსაკუთრებით დამეხმარა როგორც კომისიის თავმჯდომარეს. ამომრჩეველთა მოსმენის ყველაზე ოპერატიულმა, გამჭვირვალე და დემოკრატიულ სამყაროში წარმატებით აპრობირებულმა მეთოდმა რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისტორიაში პირველად ჩატარდა , ჩვენს ამომრჩევლებს საშუალება მისცა ზედმეტი ბარიერების გარეშე მიეღოთ სათანადო პასუხები ხელისუფლების თითოეული წევრისაგან, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენს მიერ მოქალაქეთა თითოეული პრობლემა გულდასმით იქნა შესწავლილი და მოხდა მათზე სათანადო რეაგირება ჩვენი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში

მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემის აღმოსაფხვრელად მხარი დავუჭირეთ მოქალაქეთა ყოველდღიურ მიღებას ყოველგვარი საშვების, წინასწარი ჩაწერებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების გარეშე. დავნერგეთ საკრებულოს, ბიუროსა და კომისიების გასვლითი სხდომები, ასევე სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია. დღეს და არა მარტო დღეს ამ დარბაზში მიმდინარე მოვლენებს თვალს ადევნებს ყველა დაინტერესებული პირი , ერთვება

პირდაპირ ეთერში,იძლევა შენიშვნებს, რეკომენდაციებს, წარმოგვიდგენს ინიციატივებს, სვამს შეკითხვებს და იღებს პირდაპირ პასუხებს. ამით ჩვენს ამომრჩევლებს მივეცით საშუალება იყვნენ აქტიურები და ჩვენთან ერთად მიიღონ მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მართვის საქმეში.ასევე დავნერგეთ ელექტრონული საქმის წარმოება, რაც არა მარტო საოფისე ხარჯების ეკონომიას ემსახურება, არამედ იძლევა დროის ეფექტურ გამოყენებას და საქმისწარმოებაზე კონტროლის არაჩვეულებრივ საშუალებას.

ვაცნობიერებთ რა დაკისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, ვცდილობთ ყველა პრობლემა ადგილზე შევისწავლოთ. საანგარიშო პერიოდში ყველაზე დასამახსოვრებელი გახლდათ გასვლითი სხდომები სოფლებში-ნასაკირალში, კონჭკათში, ცხემლისხიდში. სადაც ჩვენს ამომრჩევლებს პროცესებში მონაწილეობის საშუალება კიდევ ერთხელ მივეცით.

კომისიის შემადგენლობაში ირიცხება 13 წევრი. ესენი გახლავთ: ვლადიმერ ვადაჭკორია, ბონდო ღლონტი,როზეტა სკამკოჩაიშვილი, ბიძინა გობრონიძე, ლევან კილაძე, გოჩა კილაძე,ლალი სიჭინავა, ტიტე მგელაძე, პაატა მანჯგალაძე, ბიძინა ლომჯარია, ლელა ნაცვალაძე და შალვა დოლიძე;მოგახსენებთ ,რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების გამო საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მუშაობდა 3 სამუშაო ჯგუფი:

ა) განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:როზეტა სკამკოჩაიშვილი. წევრები: ლ. სიჭინავა, ტიტე მგელაძე, ლევან კილაძე.);
ბ) სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:ლელა ნაცვალაძე, წევრები: ვლადიმერ ვადაჭკორია, გოჩა კილაძე, პაატა მანჯგალაძე.);
გ) სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:შალვა დოლიძე; წევრები: ბონდო ღლონტი, ბიძინა ლომჯარია, ბიძინა გობრონიძე).

თითოეულმა ჯგუფმა სერიოზული სამუშაო გასწია მიკუთვნებული საკითხების შესასწავლად. მათ კომისიაში წარმოადგინეს დასკვნები განსაზღვრული მიმართულებების განვითარების შესახებ, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ოქმებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების თანახმად კომისიის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს დებულების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 24 სხდომა(მათ შორის 2 ერთობლივი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად). კომისიამ განიხილა 32 საკითხი . სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს. აქედან რამდენიმე საკითხი განხილულ იქნა საკრებულოში, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის დადგენილებებში;

კომისიამ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად მოისმინა, განიხილა და განახორციელა ღონისძიებები:

- შეიმუშავა და საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გეგმა;
- ა(ა) იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელის მაია ქუტიძის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ საანგარიშო პერიოდში;
- განხილულ იქნა ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2015 წლის სამუშაო გეგმა;
- კომისია გაეცნო და შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესს;
- კომისიამ განიხილა ა(ა) იპ სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების 2015 წლის სამუშაო გეგმა;
- მოისმინა სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის ,,მომავლის სხივის“ ადმინისტრაციის ანგარიში;
- განიხილა პროექტი -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა;
- კომისიამ მოისმინა ინფორმაციები გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ: ,,კიბო განაჩენი არაა“ და ,,,,ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“;
- მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ;
- მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის, გეგმების და პერსპექტივების შესახებ;
- განიხილა ა(ა) იპ ოზურგეთის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;
- კომისიამ დადებითი დასკვნა გასცა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავებაში;
- ცალკე სხდომა მიუძღვნა სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის განხილვას. ცვლილებების შესახებ დამტკიცებული პროექტი უშუალოდ გავაცანი მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულოს დეპუტატებს, რომლებმაც შესაბამისი ინფორმაცია მიიტანეს ყველა დაინტერესებულ პირთან თავიანთ სოფელში;
- კომისიამ მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ,ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის მაიზერ ცელაძის ანგარიში;
- სასწავლო წლის დასაწყისში შევისწავლე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დემოგრაფიული მდგომარეობა;
- კომისია გაეცნო ურეკის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებული ღონისძიებების პროგრამას გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად;

- ცალკე სხდომები მიეძღვნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის პრობლემების შესწავლას. აღმასრულებელ ხელისუფლებას მივაწოდე ინფორმაცია სახლ-მუზეუმის ეზოს შეღობვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელიც რა თქმა უნდა გათვალისწინებულ იქნა;
- ასევე დადებითი დასკვნა გაიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმის დაფინანსებასთან დაკავშირებით;
- კომისიამ მხარი დაუჭირა საჭადრაკო კლუბ ,,გურიას“ რესპუბლიკური ტურნირის ორგანიზებისას;
- სივრცითი, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს მერიაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ადამიანებისათვის საცხოვრისის კეთილმოწყობის საკითხს. კომისიამ განიხილა და მოიწონა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ პროექტი და გასცა დადებითი დასკვნა;
- დიდი მხარდაჭერა გამოვუცხადეთ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ ლიდერის თეიმურაზ ბურჭულაძის ინიციატივას ვაკიჯვარში სარაგბო წრის გახსნასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც გადაწყდა რაგბის მწვრთნელის დაფინანსების საკითხი;
- სისტემატიურად განიხილებოდა მოქალაქეების შემოსული წერილები, ასევე ინიციატივები და წინადადებები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ფრაქცია- ,,ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის“ ლიდერის ბ. ღლონტის წინადადება ომის ვეტერანთა ბუნებრივი აირის საფასურით უზრუნველყოფის შესახებ და დიმიტრი კვერღელიძის ინიციატივა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პედაგოგთა მგზავრობის ღირებულების დაფარვის შესახებ , რომლებსაც კომისიამ მხარი დაუჭირა, მაგრამ სამართლებრივი ფორმატიდან გამომდინარე არ მოხერხდა ამ წინადადებების რეალიზება;
- კომისიის წევრებთან ერთად სისტემატიურად ვახორციელებდი მონიტორინგს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. ჩვენს შენიშვნებს და რეკომენდაციებს ვაწვდიდით სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, რომელიც მყისიერად რეაგირებდა ყველა შენიშვნაზე;
- კომისიამ დაგეგმა და მონაწილეობის ორგანიზება უზრუნველყო სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ა(ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის და გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად;
- განვიხილეთ და დავამტკიცეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურული ღონისძიებების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ურეკის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებულ ღონისძიებას ,,ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა“, ,,გომისმთობის,“ ,,ექვთიმეობის“ და ,,კალანდობის“ ღონისძიებების პროგრამები;

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად შევისწავლეთ ახალგაზრდულ საქმიანობებში დაგეგმილი ღონისძიებები;
- მხარი დავუჭირეთ ფოლკლორული ანსამბლების ,,ელესას", ,,იადონის" და შემოქმედის" დაფინანსების საკითხს;

მიუხედავად გაწეული საქმიანობისა, აღსანიშნავია, რომ კომისიის 2015 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებებიდან ვერ განხორციელდა:

- ა(ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. ჩვენი მხრიდან ადგილი ჰქონდა მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების პრობლემების გაცნობას, მაგრამ პრობლემები იმდენად გლობალურია, ძნელია მხოლოდ მუნიციპალიტეტის სახსრებით მისი მოგვარება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ადგილების აღრიცხვა-დასუფთავებისათვის ჩატარებული საორგანიზაციო ღონისძიებების დაგეგმნვა და ჩატარება გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.

კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე ა(ა) იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, რომელმაც ჩვენი ინიციატივები სრულად გაითვალისწინა და მუნიციპალიტეტის 34-ივე საბავშვო ბაღში შექმნა საკმაოდ მოწესრიგებული გარემო (ირიცხება 58 ჯგუფი 1600 აღსაზრდელით,ბაღის მენეჯერებს, აღმზრდელებს, ძიძებს და გუშაგებს გაეზარდათ ხელფასი დაახლოებით 40 ლარის ოდენობით, მასწავლებლებისთვის გათვალისწინებული იქნა აგვისტოს თვის ხელფასი,ბაღებში დაემატა 20 მედდა,კვების თანხა 1,23 თეთრიდან გაიზარდა 1.70-თეთრამდე, ბაღში ყველა აღსაზრდელი ღებულობს ქარხნულ წყალს, მენეჯერებსა და მასწავლებლებს საახალწლოდ გადაეცათ პრემია 1 თვის ხელფასის ოდენობით.გათვალისწინებულია დვაბზუს ბაღში 2 ახალი ჯგუფის დამატება 4 ახალი ტანამშრომლით,ასევე ყველა ბაღი მიიღებს ახალ ინვენტარს 24 300 ლარის ფარგლებში, ხოლო ცხემლისხიდის, სოფელ ოზურგეთის, ბახვის და სილაურის ბაღები აღიჭურვებიან სრულიად ახალი ინვენტარით დაახლოებით 70000 ლარის ღირებულების ფარგლებში). არ ვიცი რამდენად შევძლებთ, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია ყველა საბავშვო ბაღს შევუძინოთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა, რომელიც არა მარტო გაუადვილებს ძიძებს შრომას, არამედ დაიცავს ჩვენი მომავლის ჰიგიენას და ჯანმრთელობას.

2015 წლის ნოემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა განიხილეს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი. მინდა ავღნიშნო, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვას ჩვენმა კომისიამ მიუძღვნა 4 სხდომა. ეს პერიოდი ყველაზე აქტიური პერიოდი იყო 12 თვიანი მუშაობის მანძილზე. არც ერთი საკითხი, რომლის განხილვა საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ეხებოდა არ დაგვიტოვებია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ჩვენ მოვიწვიეთ ყველა სამსახურის ხელმძღვანელი და ვთხოვეთ წარმოედგინათ კომისიისათვის ყველა ის პროექტი, რომლის

განხორციელებასაც ის მუნიციპალიტეტის თანხებით გეგმავდა. ვფიქრობთ, ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბიუჯეტში შესწორებული სახით შევიდა ჩვენი ყველა შენიშვნა და ინიციატივა. პროექტის განხილვისას მომზადებული განმარტებები დასკვნის სახით წარედგინა საკრებულოს, რომელიც შემდეგ აისახა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში. კომისიის გადაწყვეტილებით განვახორციელეთ C ჰეპატიტით დაავადებული პირების კვლევის დაფინანსება. ასევე 60 ათასი ლარით გაიზარდა განათლების ხელშეწყობის მუხლში თანხა, რომელიც უშუალოდ სკოლების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება. ასევე გრძელდება წარმატებული აბიტურიენტების 3000 ლარით , ხოლო ამ აბიტურიენტების აღმზრდელი სკოლების 1000 ლარით დასაჩუქრების პრაქტიკა.

კომისიაში შესაბამისი დაქვემდებარებული სამსახურებიდან სისტემატურად შემოდიოდა ინიციატივები, წინადადებები, პროექტები . ასევე განხორციელებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა, ასევე გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურების, მათი უფროსების და სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა კომისიასთან.

მინდა ავღნიშნო, რომ კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებები ჩატარდა. პირადად მონაწილეობა მივიღე თითქმის ყველა ღონისძიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში. ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილ თითქმის ყველა კულტურულ, სოციალურ, მასობრივ, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ღონისძიებას. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავიარე რამდენიმე საინტერესო ტრენინგი, რომელთაგან გამოვყოფდი ტრენინგს ,,მართე სახლიდან“, რომელიც ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებისათვის ელექტრონული ჩართულობის მექანიზმების განვითარების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში რეაგირებისათვის დამეწერა სულ 10 წერილი და განცხადება. დამეთანხმებით ძნელი არ უნდა უყოფილიყო მათზე რეაგირება და სათანადო ღონისძიებების გატარება. ყველა მათგანზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოვამზადე პასუხი და დასკვნა .

აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან, ფონდ ,,სოხუმთან“ არსებულ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ,,ქალები რეგიონის განვითარებისათვის“, ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“. მინდა სიამოვნებით დავსძინო, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ეს ორგანიზაციები გვაწვდიან საინტერესო წინადადებებს და რეკომენდაციებს, რომლებსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ კიდეც. მიმაჩნია,რომ ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ნამდვილად მახარებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის საშუალებების აქტიურობა, რადგან ამგვარი თანამშრომლობა არის პროდუქტიული და ნაკლებად გვაძლევს შეცდომების დაშვების შესაძლებლობას.